მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ. მარტვილი 2022 წლის 21ივნისი

სხდომის დაწყების დრო 13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ზურაბ მელიავა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
2. ლევან სურმავა

3. ნათია ბჟალავა

4. ირაკლი დიხამინჯია.

5. მიხეილ ნაჭყებია

დღის წესრიგი:

1. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის N17 დადგენილებაზე სამართლებრივი შენიშვნის განხილვის თაობაზე.
/მომხსენებელი–ზურაბ მელიავა, კომისიის თავმჯდომარე/

1.მომხსენებელმა ზურაბ მელიავამ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების

შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის N17 დადგენილებაზე სამართლებრივი შენიშვნის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან სურმავამ, ზურაბ მელიავამ, ირაკლი დიხამინჯიამ.

გადაწყვიტეს გათვალისწინებულ იქნას ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის N17 დადგენილების სამართლებრივი შენიშვნა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის განსაზღვრისას საკრებულო არ უნდა გასცდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილ ნორმებს და უნდა შემოიფარგლოს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის რეალური ხარჯების ანაზღაურების წესის განსაზღვრით.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 7

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა – 0

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ზ.მელიავა/

21/06/2022